საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოვლენა

განხეთქილება პარლამენტში (კონვენტი)

რადიკალები (მემარცხენეები)	ზომიერები	კონსერვატორები (მემარჯვენეები)
ისხდნენ დარბაზის მარცხენა მხარეს. ამიტომაც დაერქვათ მემარცხენეები. იყვნენ მონარქიის და მეფის რადიკალურად მოწინააღმდეგენი. სურდათ რესპუბლიკა და მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ხალხს აქვს ქვეყნის მართვის უფლება (ჟირონდელები და მონტანიარები).	ისხდნენ დარბაზის ცენტრში. ამიტომაც დაერქვათ ცენტრისტები. სურდათ გარკვეული ცვლილებები მმართველობაში, მაგრამ მხოლოდ ზომიერ ცვლილებათა მომხრენი იყვნენ.	ისხდნენ დარბაზის მარჯვენა მხარეს. დაერქვათ მემარჯვენეები. ემხრობოდნენ შეზღუდულ მონარქიას, თუმცა მხოლოდ მინიმალური ცვლილებების მოსურნენი იყვნენ (კონსტიტუციური მონარქისტები - ფელიანები).

კონვენტის პირველი საქმე იყო საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადება. პარალელურად ჟირონდისტებმა მეფის გასამართლების საკითხი წამოაყენეს. იაკობინელები მტკიცედ მიემხრნენ ამ აზრს. რობესპიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ აქ სასამართლო კი არ არის მთავარი, არამედ პოლიტიკური ზომა და რომ **„ლუდოვიკო უნდა მოკვდეს, რათა იცოცხლოს რესპუბლიკამ“.** ამ რადიკალიზმმა დააფრთხო ჟირონდისტები. მათ მოიფიქრეს მეფის გადარჩენის გზა და შესთავაზეს კონვენტს, განაჩენი ხალხისთვის გადაეცათ დასამტკიცებლად, მაგრამ იაკობინელებს სწორედ ეს არ უნდოდათ (გარკვეულწილად ეშინოდათ კიდეც). დაიწყო პროცესი, რომლის დროსაც ლუი XVI-ს თავი ძალზე ღირსეულად ეჭირა. ჟირონდისტებს არ გააჩნდათ საკმარისი სამოქალაქო ვაჟკაცობა, რათა ეხსნათ იგი სიკვდილით დასჯისგან. ხმათა უზარმაზარი უმრავლესობით მეფე მიჩნეულ იქნა დამნაშავედ

- ერის თავისუფლების წინააღმდეგ
- და სახელმწიფოს საერთო უსაფრთხოების წინააღმდეგ შეთქმულებაში.

აპელაცია ხალხისადმი უარყოფილ იქნა ასევე ხმების მნიშვნელოვანი უმრავლესობით, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობამ მისცა ხმა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას. განაჩენი 1793 წლის 21 იანვარს აღასრულეს.

ვერდიქტი: მეფის სიკვდილით დასჯა

ლუი XIV-ის სიკვდილით დასჯა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა. დეპუტატებმა სამ კითხვას უპასუხეს:

● **პირველი** - დამნაშავე იყო თუ არა მეფე; **693-ვე** დეპუტატმა უპასუხა „კი“.
● **მეორე** - ჩაეტარებინათ თუ არა რეფერენდუმი მეფის ბედის გადასაწყვეტად. **284**-მა დეპუტატმა უპასუხა „კი“, დანაჩენებმა ეს აზრი უარყვეს.
● **მესამე კითხვა** ეხებოდა მეფის სიკვდილით დასჯას. **321**-მა დეპუტატმა უპასუხა „ციხეში ან გადასახლებაში“, ხოლო **374**-მა მეფის სიკვდილით დასჯას მხარი დაუჭირა.
მეფის სიკვდილით დასჯა 1793 წლის 21 იანვარს გადაწყდა. ამ დღეს პარიზში პრობლემების თავიდან ასაცილებლად 80 000-მდე ჯარისკაცი იყო მობილიზებული.

წყარო ა
მეფის უკანასკნელი შეხვედრა ოჯახის წევრებთან

წყარო ბ
მეფის ანდერძი სამღვდელო პირებს: „გადაეცით სამეფო ბეჭედი ჩემს ვაჟს... საქორწინო ბეჭედი - დედოფალს... უთხარით მას, რომ ვტოვებ დიდი ტკივილით. ამ პატარა პაკეტში ჩემი ოჯახის ყველა წევრის თმაა. გადაეცით ეს პაკეტი დედოფალს. უთხარით მას და ჩემს საყვარელ შვილებს, რომ, თუმცაღა შევპირდი, ამ დილით მენახა, პირობას ვერ ვასრულებ, ან კი როგორ გაუძლებდნენ ისინი ასეთ სასტიკ დანაკარგს?!“

წყარო გ
ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა



წყარო დ
ამონარიდი თანამედროვე ისტორიკოსის ნაშრომიდან ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯის შესახებ:

„მეფემ წარმოთქვა ეს დაუვიწყარი სიტყვები:
„მე ვკვდები უდანაშაულო. უდანაშაულო ყველაფერში, რასაც მდებენ ბრალად. მე ვპატიობ მათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ჩემს სიკვდილში და ვთხოვ ღმერთს, სისხლი, რომელიც თქვენ გაიღეთ, არასოდეს დასჭირვებოდეს საფრანგეთს“.

რა გრძნობა დაგეუფლა ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ? ახსენი.

აქტივობა **საგაზეთო სტატია**



ახალი ამბები

გაზეთი

22 იანვარი, 1789 წელი

ლუი XVI სიკვდილით დასაჯეს!



გუშინ პარიზში _____

_____

_____

_____

ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ _____

_____

დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ _____

_____

_____

მას დაუმტკიცდა ბრალი და განაჩენი აღსრულდა _____

_____

_____

_____

_____

სიკვდილის წინ მეფე ლუი XVI _____

_____

_____

_____

_____

_____

სტატიის ავტორი _____

აქტივობის შემდეგ - ეს დავალება შეგიძლიათ ჯგუფურად შეასრულებინოთ მოსწავლეებს - დაავალეთ, გააანალიზონ წყაროები, შეაფასონ მეფის სიკვდილისწინა სიტყვა და იმსჯელონ საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებზე.

მარია-ანტუანეტას სიკვდილით დასჯა, 1793 წლის 16 ოქტომბერი

აქტივობა

1. აღწერეთ სურათი.
2. როგორ ფიქრობთ, ვის მოჰყავს განაჩენი სისრულეში (ანუ ვინ არიან მკვლელები)?
3. რომელ წოდებას განეკუთვნებიან?

4. რას გეუბნებათ ნახატი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ? (აღწერისთვის გამოიყენეთ დეტალები: ნახატის ემოცია; ფერები; ჩრდილები; ნივთები; ადამიანები; ადამიანთა სახეები და მოძრაობები. ამ წყაროს აღწერის მიზანია, მოსწავლეებმა გამოხატონ, რა გრძნობა დაეუფლათ და რატომ).

მარია-ანტუანეტას განაჩენი

ლუი XVI-ის შემდეგ სიკვდილის მანქანამ მეორე მსხვერპლს „უმასპინძლა“. წელიწად-ნახევრის წინ ის საფრანგეთის თავნება დედოფალი იყო, მოგვიანებით ეს წოდება „ხალხის მტრის“ სახელით შეუცვალეს და სასამართლო პროცესებზე მოიხსენიებდნენ როგორც ერცჰერცოგინია მარია-ანტუანეტას, დაცინვით კი „ავსტრიელს“ უწოდებდნენ (წარმოშობით ის მართლაც ამ ქვეყნიდან იყო). ოდესღაც ყველასთვის სასურველი 38 წლის ქალი ცამეტთვიანმა პატიმრობამ ისე გატეხა, რომ მოხუცებულს დაამსგავსა. მის ყოფას ყველაზე მეტად ამძიმებდა სასიკვდილო განაჩენის მუდმივი ლოდინი. ნაფიცთა საბჭომ ხმათა უმრავლესობით კენჭი უყარა ტრიბუნალის გადაწყვეტილებას. ტრიბუნალს კი ფრანგული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი მაქსიმილიან რობესპიერი თავმჯდომარეობდა.

ბრალდება:
- საიდუმლო კავშირი უცხო ქვეყნების მონარქებთან კორუფციის მიზნით;
- სახელმწიფო ხაზინის გაფლანგვა;
- სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში უფლებამოსილების გადამეტება;
- სახელმწიფოში სამოქალაქო ომის მდგომარეობის შექმნა.

მარია ანტუანეტას წერილი დედას
ვერსალი, 14 ივნისი

ძვირფასო დედა
მადლობას მოგახსენებთ სიკეთისა და კეთილშობილებისთვის. გუშინწინ გადმომცეს თქვენი წერილი, გუშინ კი მივიღე ახალი. ეს დიდი სიხარულია და თქვენ ზედიზედ ორი დღე ძალიან გამახარეთ.

სამშაბათს პარიზში ვიყავით და ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.

იქ ისე შეგვხვდნენ, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. ჩემთვის ყველაზე ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი გახლდათ ღარიბი ხალხი და ჩემდამი მათი დამოკიდებულება - მიუხედავად გადასახადებისა, რომელიც მათ ასე აწევთ კისერზე, ისინი ოვაციით გვეგებებოდნენ. ტიუილრის სასახლისკენ რომ გავემართეთ, დავინახეთ უზარმაზარი ბრბო, რომელიც ადგილიდან არ იძვროდა. დოფინმა და მე ბრძანება გავეცით, ჯარს ხალხისთვის ხელი არ ეხლო, რამაც არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო. ეს საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა იმ უზარმაზარი ბრბოსთვის, რომელიც მთელი დღე თან დაგვყვებოდა. სეირნობიდან რომ დავბრუნდით, გავაღეთ ტერასის კარი და თითქმის მთელი საათი ვიდექით იქ. სიტყვებს ვერ ვპოულობ, ძვირფასო დედა, იმ შეძახილების, იმ ოვაციების გადმოსაცემად, რომელსაც ხალხი ჩვენდამი

გამოხატავდა. რა ბედნიერებაა ჩვენი სტატუსისა და რანგის ადამიანისთვის, მიიღო მთელი ერის ასეთი სიყვარული ასე იაფად. მე არასოდეს დამავიწყდება ეს ემოცია.
მეორე გარემოება, რომელმაც ამ დღეს კიდევ უფრო აღმატებული განწყობა შესძინა, იყო დოფინის საქციელი. მან დიდი სითბო და სიყვარული გამოხატა თავისი ერის მიმართ.

● რამ იმოქმედა მარია ანტუანეტაზე პარიზში შესვლისას ყველაზე მეტად?
● როგორ ფიქრობთ, მისი დამოკიდებულება ღარიბი მოსახლეობისადმი რეალისტური იყო თუ მან დაინახა მხოლოდ ის, რაც უნდოდა დაენახა? ახსენით თქვენი პასუხი.
● როგორ შეიძლება შეფასდეს ხალხის ოვაცია დედოფლის მიმართ, რომელსაც 20 წლის შემდეგ თვითონვე გამოუტანა სიკვდილის განაჩენი?

წყარო
მარია-ანტუანეტას სიკვდილი
ედმუნდ ბურკე, მოვლენების თანამედროვე ისტორიკოსი

ედმუნდ ბურკე (1729-1797) დაიბადა დუბლინში, ირლანდიაში, იყო ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ის გახდა რევოლუციის მნიშვნელოვანი კრიტიკოსი და თანამედროვე კონსერვატორული პოლიტიკური იდეოლოგიის ფუძემდებელი.

„მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დედოფალი ვნახე ვერსალში, გავიდა 16 თუ 17 წელიწადი. დედოფლის ბრწყინვალება სასახლისას ჩრდილავდა. ძნელი სათქმელი იყო, რომელი ჯობდა, მაგრამ უფრო ახლოს რომ გავიცანი, მივხვდი, დედოფლის დიდებას, მის სილამაზეს, მის ღიმილსა და გრაციას, მის დახვეწილ, არაჩვეულებრივ გარეგნობას ვერაფერი შეედრებოდა.

ოჰ, ეს რევოლუცია! როგორ მოვეკიდო უემოციოდ ამ ფაქტს?! გალანტური მამაკაცების საზოგადოება, რომელიც მას გარს ეხვია, მზად იყო, მისთვის ყველაფერი გაეღო. ვფიქრობ, ათი ათასი მახვილიც არ იკამრებდა მის დასაცავად. მისი ღირსების ხელყოფისგან დასაცავად!

მაგრამ დიდების ჟამი დასრულდა. ეს სოფისტები და ეკონომისტები ითვლიდნენ და ანგარიშობდნენ მის წარმატებებს. ევროპის დიდების მზე სამუდამოდ ჩაესვენა. სამეფო წარმომავლობისა და სქესის კეთილშობილური ერთგულება და, ამასთან, ღირსეული მორჩილება, რომელიც ასე მოსწონდა ყველას, აღარასოდეს, აღარასოდეს მოიტანს აღმატებით თავისუფლებას!

გაქრა ერის დაცვის შეგნება, გაქრა და წაიშალა პატივი და ღირსება, რომლის წყალობითაც ასე ადვილი იყო მტრის დამარცხება. ახლა გეშინოდეთ, გეშინოდეთ მტრების!

● როგორი დამოკიდებულება აქვს ისტორიკოსს დედოფლის მიმართ? რატომ?
● რატომ ჰგონია ბურკეს, რომ ევროპის „დიდების მზე სამუდამოდ ჩაესვენა“?
● შეაფასებინეთ მოსწავლეებს რევოლუციური საფრანგეთის მნიშვნელოვანი მოვლენა-მეფე-დედოფლის სიკვდილით დასჯა. (სასურველი იქნება მოსწავლეებს გაავლებინეთ პარალელები ინგლისის რევოლუციასთან).

დისკუსია: მრგვალი მაგიდა
დისკუსიის თეზა: სიკვდილით დასჯა გამართლებულია
მაგალითი: საფრანგეთის რევოლუცია; სამეფო დინასტიის განაჩენის მართლზომიერება

სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება იმ ფაქტების მიმართ, რომლებსაც გაეცნენ. სთხოვეთ, მათი მსჯელობა იყოს არგუმენტირებული, გამყარებული ფაქტებითა და ლოგიკური დასკვნებით. რაც უნდა თქვენთვის მიუღებელი აზრები გამოთქვან მოსწავლეებმა, ეცადეთ, არ ჩაერიოთ. დაურიგეთ ფურცლები და სთხოვეთ, წერილობით გამოიტანონ განაჩენი - უნდა დაესაჯათ თუ არა სიკვდილით მეფე და დედოფალი.

თუ დაინახავთ, რომ თქვენი ჩარევა აუცილებელია, დაუსვით მოსწავლეებს რამდენიმე სადისკუსიო შეკითხვა. მაგალითად, ასეთი: „თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა მონარქების სიკვდილით დასჯის მოკლევადიანი შედეგი? (დაასაბუთონ) გრძელვადიანი? (დაასაბუთონ)“ აირჩიეთ ტრიბუნი, რომელიც დაითვლის კენჭისყრის შედეგებს და მოამზადებს ორწუთიან ვერდიქტს, ვინ იყო ნამდვილი დამნაშავე (მხოლოდ მოსწავლეთა პასუხებზე დაყრდნობით). შეაჯამეთ გაკვეთილი.